ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების კერვა

პროგრამის მიზანია მსმენელს შეასწავლოს ფეხსაცმლის ნამზადის და აქსესუარების კერვის ტექნოლოგია, კერვა შრომის უსფრთხოების ნორმების დაცვით ხელის სამარჯვი-იარაღების და საკერავი მანქანების გამოყენებით, ფეხსაცმლის ტყავის ნამზადის აქსესუარების შექმნა.

პროგრამაში ისწავლება:

- საკერავი მანქანებით კერვისას უსაფრთხოების ნორმები და წესები; სამკერვალო ტერმინოლოგია;
- სამუშაო ადგილის მოწყობისა და მუშაობის სწორი ორგანიზაციის წესი;
- ხელის საკერავი ნემსების კლასიფიკაცია;
- მასალები, საკერავი მანქანებისა და ნემსების კლასიფიკაცია, მანქანური ნაკერების სახეები;
- ტყავის ნამზადის და აქსესუარების კერვის ტექნოლოგია
- ხელის სამარჯვი-იარაღების გამოყენება შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით;
- საკერავი მანქანების გამოყენება შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით;
- სამუშაო ადგილის ორგანიზაცია;
- ფეხსაცმლის ნამზადის და აქსესუარების დეტალების წინასწარი დამუშავება;
- ხელის გვირისტების და მანქანური ნაკერების სახეების შესრულება;
- ტყავის ნამზადისა და აქსესუარების კერვა ტექნოლოგიური ოპერაციების თანმიმდევრობა დაცვით;
- ტყავის ნამზადისა და აქსესუარების შექმნა.

პროგრამის სწავლებისას გამოიყენება თეორიული და პრაქტიკული სწავლების ფორმატი, პრაქტიკული უნარების გამომუშავებით, ადგილზე დასწრებით

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- მინიმალური ასაკი 18 წელი;
- ქალაქ თბილისში რეგისტრაცია;

პროგრამაზე მოხვედრის ეტაპები:

- დოკუმენტაციის გადარჩევა;
- გასაუბრება

სწავლების ვადა: 2 თვე

დასაქმების სფერო: დიდი და მცირე ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების საწარმოები და სახელოსნოები, თვითდასაქმება